



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000083175093218

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 22

06 / ივნისი / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ოჯიოში, კულტურის სახლის შენობაში პირველ და მეორე სართულზე მდებარე ორი ოთახის, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის სანციის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, სანციის საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანციის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ოჯიოში, კულტურის სახლის შენობაში პირველ და მეორე სართულზე მდებარე ორი ოთახის, 60 კვ.მ ფართის, (საკადასტრო კოდი 50.12.31.449)
 - სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის სანციის საფასური, სანციის საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ით- 324.0 (სამას ოცდაოთხი) ლარის ოდენობით;
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ხაზილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)



ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

07 *ყვარაძე*

თამარ ყვინიშვილი

